დანართი 1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსების – სასერტიფიკატო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ტრენინგ–კურსის დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურა

მუხლი 1. სასერტიფიკატო კურსები

1. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამას (მოდული/კურსი), რომელიც ითვალისწინებს ახალი პროფესიული ან სხვა სახის ცოდნის შეძენას, პროფესიული უნარ–ჩვევების გაღრმავებას, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ან არ მიენიჭოს ECTS კრედიტები და რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსმენელს ენიჭება შესაბამისი კურსის წარმატებით დასრულების სერტიფიკატი.
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასერტიფიკატო კურსი – სხვადასხვა ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითადი და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებას, ენიჭება შესაბამისი კრედიტები და მისი დასრულების შემდეგ გაიცემა კურსის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.
3. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ტრენინგ–კურსი არის მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსი, რომელიც ორიენტირებულია მსმენელთა სხვადასხვა კომპეტენციის, უნარ–ჩვევის გაღრმავებაზე და რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა კურსში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მუხლი 2. სასერტიფიკატო კურსების დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურა

1. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსის/ საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ტრენინგ–კურსის (შემდგომში ,,უწყვეტი განათლების კურსი“) ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ–ს სრული, ასოცირებული, ასისტენტ–პროფესორი, დოქტორანტი ან მოწვეული სპეციალისტი. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასერტიფიკატო კურსის შემთხვევაში მხოლოდ თსუ–ს სრული, ასოცირებული, ასისტენტ–პროფესორი და დოქტორანტი.
2. უწყვეტი განათლების კურსის განხორციელებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს თსუ–ს სრულმა, ასოცირებულმა, ასისტენტ–პროფესორმა, დოქტორანტმა ან მოწვეულმა სპეციალისტმა, რომელსაც აქვს კურსის მიზნების მიღწევისათვის შესაბამისი, სწავლების, კვლევის ან მუშაობის გამოცდილება.

3. უწყვეტი განათლების კურსის ხელმძღვანელი/განხორციელებაში მონაწილე პირი მიეთითება შესაბამისი უწყვეტი განათლების კურსის ანოტაციაში.
4. უწყვეტი განათლების კურსი მუშავდება თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრთან შეთანხმებით ან მისი ინიციატივით.
5. ცენტრი უწყვეტი განათლების კურსის ანოტაციას, კურსის შინაარსის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტიზისათვის წარადგენს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
6. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ცენტრი უწყვეტი განათლების კურსს დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ რექტორს.
7. თსუ–ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული უწყვეტი განათლების კურსის ადმინისტრირებას ახდენს აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.